რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ.
ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი:
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი.
ფასი განცხადებისა
წვრილმანი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

„ცნობის ფურცელი“ 1-ლ აგვისტოდან წლის დამლევამდე
საქართველოს კალენდრით
ღირს სამი 3 მანეთი

ვაუწყებ ჩემს ნაცნობთა, რომელნიც საჭიროებდნენ ჩემს დახმარებას სხვა-და-სხვა დაწესებულებებში, კეთილ ინებონ და წერილით ნუ მომმართავენ თავიანთ საქმეთა გამო, რადგან დროებით ტფილისში არ ვიმყოფები.
(3—3) ალექსანდრე თოიძე.

მარიამ ივანეს ასული, იოსებ იოსების ძე და ვიქტორ სიმონის ძე გველესიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთა, გარდაცვალებას პირველი ქრმის, მეორე ძმისა და მესამე ბიძაშვილისა თვისისა

სილიბისტრო იოს.-ძის გველესიანისა

უმორჩილესად სთხოვენ სცენ პატივი და მობრძანდნენ დასასწრებლად განსვენებასა და დასაფლავებაზე **კვირას, 10 აგვისტოს.**
პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზედ
გარდაცვალებულს გამოასვენებენ **დილის 9 საათზედ სასტუმრო ,,მარსელიდან“** და წაასვენებენ კუკიის სასაფლაოს ეკლესიაზედ
(1—1)

კვირას, 10 აგვისტოს 1897 წელს წირვის შემდეგ კალოუბნის ეკლესიაში გარდახდილი იქმნება პანაშვიდი ახლად გარდაცვლებულისა სოფელ ვანათში (თელავის მაზრა)

ვასილ ს. მონას ძე ჯაფარიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 9 ს. დილით.
(2—1)

ექიმი კ. კ. თოფურიძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე
დილით—8—10 საათამდე **საღამოთი**—5—7 საათამდე
ხოლო სამშაბათსა, პარასკევსა და კვირაობით საღამოთი
ღარიბებს უსასყიდლოდ სწამლობს
ელისაბედის ქუჩა, № 27 (თვალის სამკურნალოს გვერდით)
ДОКТОРЪ К. К. ТОПУРИДЗЕ
Пріемъ ежедневно. Елисаветинская № 27. (20—3)

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში
მ. ლალიძის გამოცემული
ახალი თხზულება-პოემა **აკაკისა**

ნ ა თ ქ ლ ა

(ძველებური ამბავი)
წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე, შეიცავს 72 გვერდს.
ფასი თითო აბაზი.
ვინც ამ წიგნს ერთათ ნაღდ ფულზე იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, დაეთმობა 20%. მსურველთ ფასს დადებითაც გაეგზავნებათ. (50—9)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе*, ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. (300—159)

მოწოდება

სწავლა-განათლების მოყვარეთა მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა მიმართ

ქრისტეს მოყვარენო და მოსავნო ძენო და ასულნო სრულიად ივერიისანო! ჩვენ დაბალნი დანი შავითა მოსილნი ჯიხეთის ტაძრათ მიყვანებისა დედათა სავანისანი, უმორჩილესადა გთხოვთ აღმოუჩინოთ ნივთიერი შემწეობა ჩვენგანვე დაარსებულს უფასო ერთ-კლასიან საქალებო სამრევლო სასწავლებელს, რომელიც დაარსებულია იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელზე, პირველ იანვრიდან 1896 წლისა და რომელშიაც ვღებულობთ და ვასწავლით უსასყიდლოთ ღარიბთა შვილებს.

ძველ დროში ჩვენი მონასტრები და ეკლესიები აღყვავებულნი იყვნენ კეთილ-მნებებელ შემწირველთაგან და იმედია, რომ კიდევ ღვივის ეს სიყვარული ქართველთა შორის.

წვლილი შემოწირულობა დიდის მადლობით იქნება მიღებული და გთხოვთ გამოგზავნოთ ამ ადრესით: Настоятельницѣ Джихетской женской Общины монахинѣ Еленѣ. Въ м. Ланчхуты.

დავშთებით თქვენი ღვთისადმი მსასოებელი ჯიხეთის სავანის დანი.
(6—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა.

დილაობით:

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით

ა. მ. პუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა – დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Ворнцову.

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნიარ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 სათამდე.

შინაგან და ნერვების ავადმოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ თოფურია.**
Лѣчебница *С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
«რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.»

7 აგვისტო.

ლონდონი. „Times“-ს სწერენ დეპეშით სტამბოლიდგან, რომ ქურდისტონში უწესოებამ დააფიქრა და ამის გამო ბრძანება გასცა შეიარაღებულ იქმნენ აღმოსავლეთის ვილაიეტები.

ლონდონი. „Times“-ს დეპეშით სწერენ სიმლიდგან, რომ სვატის ხეობაში მომხდარ ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა ორი ინგლისელი აფიცერი და დაჭრილია ერთი. ციხე სიმაგრიდგან განდევნილ ტომი 3000 კაცს შეადგენდა.

პარიზი. 6 აგვისტოს ფორი წავიდა დიუნკირხენში, თან მისდევენ ჰანოტო, ბენარი და გენერალი ფრედერიქსი. დიდძალი ხალხი იძახდა ამ დროს ,,გაუმარჯოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს რუსეთს! გაუმარჯოს ფორს!

ფორის წასვლის შემდეგ 10 წუთმა რომ განვლო მაჯენტას ბულვარზედ, სადგურის მახლობლად აფეთქება მოხდა. აფეთქებით არაფერი დაშავებულა, არავინ დაჭრილა და საზოგადოდ ამ შემთხვევას მნიშვნელობა არა აქვს. აფეთქდა პატარა მილი 30 სანტიმეტრის სიგრძე და 5 სანტიმეტრის სიგანე. მილი ვიღასაც დაედო ერთ ცალიერ დუქანში მაჯენტის ბულვარისა და ლაფაიეტის ქუჩის კუთხეში. მილის ნატეხები ქვაფენილს მოეფინა. ერთს ალაგას ქაღალდის ნაჭერი იპოვნეს. ზედ ეწერა: ,,გაუმარჯოს თავისუფლებას გაუმარჯოს პოლონიას“!

სიმლა. აფრიდის ტომი იწევს ილურუსაკენ, ორაკსაიები ემუქრებიან სამანეს. მაზალის ტომის ორი რაზმი შეერთდა და პარონაჩენარუსკენ მიდიან. განცალკევებულ რაზმს ებრძანა უკან დაიწიონ და ლოკვარეტში შეგროვდნენ.

კანონი და მთავრობის განკარგულება.

ადმინისტრაცია. გარდაყვანილ იქმნა: დუშეთის სატუსაღოს ზედამხედველი კოლეჟსკი რეგისტრატორი კონსტანტინე ჯაფარიძე—ბაქოს სატუსაღო ციხის ზედამხედველად, ხოლო იმის ადგას დანიშნულ იქმნა ტფილისის ქალაქის პოლიციის ოკოლოდოჩნიკი—კოლეჟსკი სეკრეტარი პეტრე მოლჩანოვი.

დანიშნულ იქმნა: სამსახურს გარეშე მყოფი ტიტულიარნი სოვეტნიკი გიორგი კვალიაშვილი—გორის მაზრაში ღორის ნაწილის პოლიციის ბოქაულის თან. დროებით აღმასრულებლად.

ფოსტა-ტელეგრაფის უწყება. გადაყვანილ იქმნენ: სურამის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელე ქლენტი—სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსის თანაშემწედ; კობის ფოსტა-ტელეგ. კონტორის მოხელე ქამუთაშვილი—ბალთის ტელეგრაფის განყოფილების უფროსის თანამდებ. აღმასრულებლად.

ტფილისის ფოსტა-ლტეგრაფის კონტორის მოხელე მელქისედეკ ხოხიაშვილი—სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ; ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ფრანცისკ დურგალიშვილი—მიხაილოვის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ; მიხაილოვის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე იოსებ მესხი—ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ; ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის ფოსტალიონი ჯაბიძე—და მცხეთის—მიქაბერიძე—ერთი მეორეს ადგას.

დანიშნულ იქმნა: აზ. ივანე მაჭავარიანი—კობის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ; გლ. მაქსიმე ნადირაძე—ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უმცროს მოხელედ და ალექსანდრე ბახტაძე—ახსტაფის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ.

ახალი ამბავი

*** † ვასილ სიმონის ძე ჯაფარიძე. ს. ვანათში (თელავის მაზრაში) გარდაიცვალა ახალგაზდა ქართველი ნოქარი ვასილ ჯაფარიძე. განსვენებული თითქმის შვიდის წლიდან მსახურებდა სოფიო ლაზარევის (იზმიროვისეულ) მაღაზიაში, სადაც საბეჭდ და საწერ ქაღალდების სავაჭროა. ვინც მწერლობასა და წიგნების ბეჭდვის საქმეში მონაწილეობას იღებდა ჩვენში, უეჭველია, ყველა იცნობდა განსვენებულს, როგორც ფრიად გულ-შემატკივარს ჩვენის მწიგნობრობისას. ამ უკანასკნელს სამ-ოთხ წელიწადში დაუამხანაგდა ვრ. ჩარკვიანს კედლის კალენდრის გამოცემაში. განსვენებულს ამ ექვსიოდე თვის წინად ჭლექი შეეპარა და უდროვოდ გამოასალმა წუთი სოფელს, ჯერ ოც-და-ჩვა წლისა არც-კი იყო. ღმერთმა საუკუნო სასუფეველი დაგიმკვიდროს, პატიოსანო მუშაკო!

*** **მეურნეობის მინისტრის ჩამობრძანება კავკასიაში.** ამას წინადაც გვქონდა ნათქვამი, რომ ბ-ნი მეურნეობის მინისტრი ა. ს. ერმოლოვი ჩამობრძანდება კავკასიაში ამ თვის უკანასკნელს რიცხვებში. ბ-ნი მინისტრი, სხვათა შორის, შავი ზღვის გუბერნიაში წაბრძანდება და, გარდა ამისა, დაათვალიერებს სოფ. ჩაქვში (ბათომის ოლქში) ჩაის პლანტაციებს, ჭიათურის შავი ქვის მადნებსა და ბაქოში ნავთიან ადგილებს. ამბობენ, რომ ბ-ნი მინისტრი ქ. ტფილისში არ შემოივლის ამ მოგზაურობის დროს.

*** **განჯის გუბერნატორი.** ტფილისში ჩამოვიდა განჯის გუბერნატორი გენ.-მაიორი კირეევი და 7 აგვისტოს წავიდა აგარაკ კოჯორში. გუბერნატორის მოგზაურობა გამოწვეულია სურვილით—მოისპოს განჯის გუბერნიაში საზოგადოთ და ყაზახის მაზრაში კერძოდ, ყაჩაღობა.

*** **საერო სკოლების მესამე ინსპექტორი ტფილისის გუბერნიაში.** აქნობამდის ტფილისის გუბერნიაში სულ ორი ინსპექტორი იყო საერო სკოლებისა, მაგრამ, რადგან ესენი ვერ ასწრობდნენ ბეჯითად თავიანთის მოვალეობის აღსრულებას და მთელის გუბერნიის სკოლების რევიზიას, მთავრობას განზრახვა აქვს კიდევ ერთის ინსპექტორის თანამდებობა დააარსოს. („ნოვ. ობ.")

*** **ახალი დანიშნულება.** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსად დანიშნულ იქმნება ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსი ი. ფ. სემენოვი.

*** **ბავშვთა ახალი სამკურნალო ქ. ტფილისში.** ქალაქის სასანიტარო-საექიმო საბჭოს გარდაუწყვეტია წინადადება შეიტანოს ქალაქის საბჭოში, რომ უეჭველად დაარსებულ იქმნას ქალაქში სამკურნალო გადამდებ სენით ავადმყოფ ბავშვთათვის. დროებითი ამგვარი საავადმყოფო არის კიდეც ავლაბარში, მაგრამ მომავალის წლის 1 იანვრიდან დაიხურება. ამ ახალის საავადმყოფოსათვის საჭიროა 7000 მან. ხარჯი.

*** **სამკითხველო ვერაზე.** როგორც ნამდვილ წყაროებიდგან შევიტყეთ, ამ ჟამად ჩვენს უბანში, ვერაზედ შემდგარა ახალი ამხანაგობა, რომელსაც აზრად აქვს უფასო სამკითხველოს დაარსება ვერაზედვე. ამ ამბავმა ჩვენ, ვერელები ერთობ გაგვახარა, დღეს ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარ აქვს. წარმოიდგინეთ, იქ, სადაც ყოველივე სულიერათ საზრდოს მიმწოდებელ-დამაკმაყოფილებელი არაფერი არსებობს, რომლის გამოთაც ჩვენ, ვერელები ერთობ უკანა ვართ ჩამორჩენილნი წინ-სვლა წარმატების მხრით სხვათა უბანთა შედარებით, რა დიდს ნუგეშათ უნდა ჩაგვეთვალოს ჩვენ, ვერელებს სამკითხველოს დაარსება.

*** **ახალი სახელოსნო და სატეხნიკო სასწავლებლები.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მმართველობას განზრახვა აქვს გახსნას კავკასიის სხვა-და-სხვა დაბა-ქალაქებში ათი სახელოსნო და სატეხნიკო სასწავლებელი სხვა-და-სხვა სახისა.

*** **შემწეობა მოკლულის თავ. აბაშიძის ქვრივსა.** გაზ. „ნოვ. ობ."-ს ატყობინებენ განჯიდამ, რომ კავკასიის მთავარ-მართებელმა თ. გოლიცინმა ნება დართო მიეცეს 500 მანათი ყაჩაღებისაგან მოკლულის თ. აბაშიძის ქვრივს; შემწეობა ერთად მიეცემა.

*** **სახალხო სასწავლებლებში მსახურების პენსია.** „ნოვ. ობ."-ს გაუგონია, რომ კავკასიის სამოსწავლო გამგეობაში აღძრულია კითხვა შესახებ პენსიის მიცემისა მათთვის, რომელნიც პირველ დაწყებით სასწავლებლებში მსახურობენ.

*** **ახალი ნორმალური სასწავლებელი.** მთავრობას განუზრახავს სოფ. ხულოში (ბათომის ოლქი) დააარსოს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი. საჭირო ფული უკვე გადაუდვია და შენობას შესდგომია. სწავლას დაიწყებენ წლევანდელ სამოსწავლო წლიდამ.

*** **შენიშვნა ქართულ წიგნების მთარგმნელებს.** ამ ბოლო ხანებში ძლიერ გახშირდა ქართულ წიგნების თარგმნა სხვა-და-სხვა ენებიდან. ამ წიგნების უმეტესს ნაწილს შეადგენს უფრო სამეცნიერო წიგნები, მაგალითად, როგორიც არის ივ. როსტომაშვილისა და „ახალი მკითხველის" გამოცემები: ,,დარვინიზმი'', ,,როგორ სცხოვრობდნენ ადამიანები ძველად'', ,,შრომა და კაპიტალი'', ,,ჩვენს ქალებს'' და სხვა.

ამგვარი წიგნები ვრცელდება უფრო მდაბიო ხალხში, რომელთაც დიდი ხანი არ არის, რაც წერა-კითხვის მნიშვნელობა შეიგნეს. რა თქმა უნდა, ამგვარ ხალხისთვის რაც უფრო ადვილად გასაგები წიგნი იქნება, ის უმჯობესია. ჩვენ ამ წიგნების თარგმნაზე და ენის სიადვილეზე არას ვიტყვით, მხოლოდ კარგს იზამდნენ ქართულ წიგნების მთარგმნელები, რომ მცირე ყურადღებას მიაქცევდნენ შემდევს შენიშვნას.

ამგვარს წიგნებში ხშირად არის ნახმარი ევროპიული სიტყვები, რომელიც მეტად გაუგებარი რჩება მდაბიო მკითხველთათვის; რომ უფრო ნათლად იყოს ჩვენის აზრის სიმართლე, მოგვყავს რამდენიმე მაგალითი ამ სიტყვებიდან: ევოლიუცია, ცივილიზაცია, ფორმა, ენტუზიაზმი, კლასიფიკაცია, გენოლოგია, ფილოლოგია, ორგანიზმი, პრინციპი, პროგრესი, ანატომია, ნაცია, ეგზალტაცია, პეტრუბაცია და მრავალი სხვა. საზოგადოდ, ეს ევროპიული სიტყვები (იგულისხმეთ ჩემ მიერ მოყვანილი სიტყვები) ძლიერ გახშირდა ჩვენს ლიტერატურაში; ამისათვის კარგს იზამდნენ ქართულ წიგნების მთარგმნელები, რომ მცირე შენიშვნა მისცენ ხოლმე ამგვარს სიტყვებს და ახსნა ჩაურთონ წიგნის ბოლოში, რათა სუყველას ადვილად შეეძლოს მათი გაგება. ეს მით უფრო საჭიროა, რომ წიგნის მეტი წილი დედა-აზრი ამგვარს სიტყვებში იხატება და თუ კარგად გაგებული კაცი არა, სხვა ვერ გაიგებს წიგნის შინაარსს.

მე თვითონ ბევრჯერ შევსწრებივარ ხალხში ამგვარ წიგნების კითხვას; როდესაც ასეთს სიტყვას ამოიკითხავენ, ერთმანერთს ეკითხებიან: ეს რას ნიშნავსო? მაგრამ პასუხის მიმცემი ამ ხალხში არავინ არის. ამაზე, ვგონებ, სხვებიც დამემოწმებიან, ვინც-კი ყურადღებას აქცევს მდაბიო ხალხში წერა-კითხვის გავრცელებას.

კიდევ ვიმეორებ, რომ ეს საქმე ყურადღების ღირსია და კარგს იზამდნენ ქართულ წიგნების მთარგმნელები, თუ შემდეგში მაინც უყურადღებოდ არ დასტოვებენ ამ ჩემს შენიშვნას *).

ერთი მდაბიო მკითხველთაგანი.

*** **ასკანა** (გურია). ბანკის ანგარიში. ასკანა ძალიან დაწინაურდა ყოველ მხრივ. ვისის წყალობით? სახელი ეკუთვნის უკვე ცნობილს ასკანის მოღვაწე ინტელიგენტს მამასახლისს ბ-ნ სოლომონ ჭეიშვილს და ასკანის სკოლის მასწავლებელთ, უმთავრესად-კი ივლიანე ჭეიშვილს. ოთხი წელიწადია, რაც სოლომონ ჭეიშვილი ამ საზოგადოებას უსასყიდლოთ ემსახურება და გარდა სკოლის გაორკლასიანებისა, მისის შენობის აგებისა, სამკითხველოს დაარსებისა, ბანკის დაარსებისა, ბევრი სხვაც შეუძენია სოფლისათვის: მარტო რამდენი გზა გაუკეთებიათ მისის ჩაგონებით და მონაწილეობის მიღებით; ერთის სიტყვით, მას იმდენი ნდობა დაუმსახურებია საზოგადოებისა, რომ არამც თუ გლეხნი ენდობიან, არამედ აქაური სხვა მკვიდრნი უმისოთ ვერა საქმეს ვერ აკეთებენ. ჭეიშვილსავე ნდობის თვალით უცქერიან და ყოველსავე საზოგადო საქმეში ეწევიან აქაური მოსწავლე ახალგაზრდები (ერთი აკადემიაშია, 1 უნივერ. მიდის, 4 სასულიერო სემინარიაში, 2 იალტაში კურს-დასრულებულიც ჰყავს ეხლა ასკანას).

ეხლა მოგახსენებთ ბანკის მოქმედების ,ექვსის თვის ანგარიშზე.

20 ივლისს სკოლის დარბაზში იყო საზოგადო კრება ბანკის წევრთა. ამდენი ხნის კაცი ვარ, დავსწრებივარ ბანკის კრებებს ტფილისსა და ქუთაისში, მაგრამ მე იქ უსიამოვნობის მეტი ვერა-რა მიგრძვნია, რადგან იქ ვხედავდი უმეტესობას პირადობით აღჭურვილს. საქმეზედ იმდენი გული არ შესტკიოდათ, რამდენიც ენის მოფხანა უნდოდათ ერთმანერთის მიწასთან გასწორებით. აქ-კი სულ სხვა იყო! აქ ყველა ერთის აზრით იყო გამსჭვალული: ეს ახალი საქმე კარგად წავიყვანოთო.

კვირა საღამოა. სკოლასთან თავი მოუყრიათ ქალებსა და კაცებს. კრების დაწყებამდე ზოგს მეზობლური მასლაათი გაუმართავს, ზოგი-კი ბანკის შესახებ მსჯელობს. 10 საათზე კრებაც გაიხსნა ს. ჭეიშვილის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრნენ, სხვათა შორის, 22 ქალიც. როგორც ამ კრებიდან გავიგეთ, მოქმედება დაუწყიათ 2 იანვარს ამა წლისა; ყოფილა მაშინ 50 დამაარსებელი წევრი, დღეს-კი, ე. ი. ექვსი თვის შემდეგ, პირველ ივლისს, იყვნენ 179, მათში ქალი 21. ამავე კრებაზე წევრობის სურვილი განაცხადეს 28 (მათში ქალი 6), უყარეს კენჭი და ერთი მათგანი ქალი, რომელიც აპრილში მომხდარ კრებაზედაც გაეშავებინათ, ეხლაც გააშავეს (2 თეთრი და 61 შავი); მიზეზად ქალის თავისუფალს ცხოვრებას ასახელებენ. არ მიიღეს აგრეთვე ერთი კაციც მცირე წლოვანობის გამო. დანარჩენებსაც-კი დიდის სიფრთხილით მოექცნენ, მაგრამ მაინც ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნენ. ბანკს განაგებს გამგეობა და საბჭო. გამგეობის წევრნი არიან: მღვ. სარდიონ ჯინჭარაშვილი, მასწავლ. ივლ. ჭეიშვილი და ეფრ. თალაკვაძე. საბჭოში-კი: სოლომ. ჭეიშვილი, აზნ. ივლიანე შევარდნაძე, პრაპ. ვლად. სიამაშვილი, მწერალი ყარამან ნინიძე, ალექსი ჭელიძე და ივლიანე ცქვიტინიძე.

რადგანაც ერთი გამგეობის წევრი ეფრემ თალაკვაძე უმაღლესს სასწავლებელში მიდის, ამიტომ სამსახურს თავი დაანება და კრებას მის მაგიერი უნდა აერჩია. პირველად კრებამ ფეხზე ადგომით დიდი მადლობა გადაუხადა თალაკვაძეს ბეჯითის უსასყიდლო სამსახურისათვის და შეუდგა მაგიერს არჩევას.

ამ საგანმა დიდი თათბირი გამოიწვია, თავმჯდომარე თხოულობს დაასახელონ კანდიდატი. კრება მდუმარებს, არ იცის ვინ დაასახელოს, ვის ენდოს, სთხოვენ სოლომონ ჭეიშვილს, საბჭოს წევრებიდგან გამოირიცხე და გამგეობის წევრად შეირიცხეო, მაგრამ ის გადაწყვეტილ უარს აბობს მოუცლელობისა გამო, თან ასახელებს, როგორი საიმედო და ცოდნის კაცია საჭირო. კრება სთხოვს მამას ისევ ეფ. თალაკვაძისას მღ. ექვთიმეს, ექვთიმეც ასახელებს მიზეზათ მოუმზადებლობას და მოუცლელობას, სთხოვს კრებას ეძიონ უკეთესი და თუ ვერ იშოვნიან უკეთესს, ის ა[illegible]ზოგავს თავის ძალ-ღონეს. კრება კვლავ სდუმს. თავმჯდომარე: ბატონებო, დაგვისახელეთ კანდიდატი და კენჭს ვუყრით. კრებიდგან ეუბნებიან: დაგვისახელეთ თქვენ, გვირჩიეთ, ვინ ვარგა და ჩვენ თანხმა ვიქნებით თქვენს არჩევანზე, მართალია, კაცები ბევრი გვეგულვება ბათუმში, ქუთაისში, მაგრამ აქ-კი თქვენს მეტს ვერ ვხედავთ,

---

*) ჩვენ სრულიად თანავუგრძნობთ ამ სამართლიანს შენიშვნას ერთი მდაბიო მკითხველთაგანისას. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ სამეცნიერო წიგნების მკითხველთა წრე ჯერ მეტად ნაკლები არის და თუ არის ვინმე, იმათაც უძნელდებათ და ამ სიძნელეს კიდევ ერთი ათად ურკეცებს ევროპიული სიტყვებით აჭრელებული წინადადებანი. აბა ეგ „ეგზალტაცია" და ‹პეტრუბაცია› მდაბიო მკითხველს-კი არა, ჯეროვნად განვითარებულსაც-კი გაუჭირდება თუ ლექსიკონი არ მოიშველა. ვინ ამბობს, სამეცნიერო წიგნები ფრიად საჭიროა და სასურველი რომ გვქონდეს და ღმერთმა ამ გვარ წიგნების მთარგმნელებს თუ გამომცემლებს ხელი მოუმართოს, მაგრამ, მაგარი ის არის, ხალხი ჯერ თვით კითხვას უნდა შეეჩვიოს გახალისიანდეს, ინტერესი გაუცხოველდეს და კითხვა მოთხოვნილებად შეექმნას და მერე სამეცნიერო წიგნებიც მისთვის ხელმისაწდომი და სანატრელიც იქნება... ჯერ პირველი ნაბიჯი უნდა გადადგას ადამიანმა და მერე მეორე, ხოლო ვინც ნაბიჯს მეორედან იწყებს. ის კი არ დადის, არამედ ხტის და ხტუნაობა სიარული როდია. აი ამიტომ ვურჩევთ ჩვენს კერძო თუ საამხანაგო გამომცემელთ ჯერ ხანად ხალხს მიაწოდონ ანბანი, პატარა-პატარა მოთხრობები, ამბები გმირულის შინაარსისა, მოგზაურობიდან, ისტორიიდან და სხვა—ერთის სიტყვით, ყველა ის, რაც ყოველს ჩვენთაგანს პირველად უკითხავს და მერე გადავიდნენ სამეცნიეროზე. ამით ჩვენ ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ მეცნიერულ წიგნების გამოცემას თავი მიანებონ; არა, გამოსცენ რაც შეიძლება ბევრი და ხშირად, მაგრამ უფრო ბევრად და ხშირად ზემოდ ხსენებული საპირველ—ნაბიჯო წიგნები გამოსცენ ხალხისათვის, მის მოთხოვნილების და შეძლების შესაფერი. რედაქ.

როგორც დაგვიარსე იგი საქმე, ისე მოუარე კიდეცაო...

დიდის კამათის შემდეგ, დაუდგეს ყუთი დიაკვანს სიმონ შარაშიძეს, (რომლის ალრჩევა უკეჩქოთ ისურვეს, მაგრამ კანონით არ მოხერხდა) ამოუვიდა თეთრი 86, შავი 3. ამ რიგად ასკანაში მღვდლებიც ერევიან საზოგადო საქმეში. და ხალხიც მათ ნდობის თვალით უცქერის, გვიკვირს, მხოლოდ ერთი აქაური მღვდლის ხასიათი, რომელიც ზედვე სკოლასთან სცხოვრობს და „ჩინოვნიკი“ ვაჟი ჰყავს. ის, თურმე, არც ბანკის წევრია და არც სხვა აქაურ საზოგადო საქმეში იღებს მონაწილეობას. ეხლა მოგახსენებთ ბანკის მოქმედების წეს-რიგს. ის ეკუთვნის მარტო ასკანის საზოგადოებას, ფულს ასესხებს 12%, ე. ი. თუმანს ორ შაურათ ასესხებენ 9 თვემდე, ამ ექვსი თვის განმავლობაში უსარგებლნია 143-ს; მათში ზოგს ორ-სამჯერაც გაუტანია, ვისაც გემო გაუცვნია, (წევრებად ხშირად ცოლ-ქმარიც არის) ამას დიდათ შეუმცირებია ასკანაში ჩარჩების ფარფაში, ეხლა ისინიც, თურმე, სამ შაურად ასესხებენ თუმანს, წინად-კი 40 კაპ. იღებდნენ. კრების დასასრულს ეფრემ თალაკვაძემ მადლობა უძღვნა საზოგადოებას და უსურვა საქმის ბოლომდე კარგად წაყვანა, საზოგადოებაც მისი მადლიერი დარჩა და უსურვა სწავლის დამთავრება და შემდეგ კიდევ სოფლის სამსახური. კრება გათავდა შუაღამის 3 საათზედ, მაგრამ, რადგან წვიმა იყო, ძრიელ ბნელოდა კიდეც, ამიტომ გათენებას დაუცადეს და მანამდე სიმღერით გაერთვნენ. არ შემიძლია დასასრულ არ მოვიხსენიო ის გარემოება, რომ ასეთივე დაწესებულება აქვს ბახვს, ოზურგეთს (ჰქონდა ხიდის თავს), მაგრამ ასე კარგად არსად არის დაყენებული. ოზურგეთის შემნახველ-გამსესხებელ სალაროს დასჯდომია თავს ათიოდე კაცი და თავის საკუთრებათ მიაჩნია, მაგას ვერ ვიტყვით ბახვის შესახებ, მხოლოდ იმდენი ოპერეცია, რაც იქ ბანკს ამ რამოცენიმე წლის განმავლობაში გაუკეთებია, თითქმის იმდენი აქ ½ წლის განმავლობაში გაკეთებულა, ა ანგარიშიც: შემოსავლის დავთარში: საწილო ფული 1845 მან. ასესხებულის %-ები 178 მ. 71 კაპ., დაბრუნებული სესხი: 1009 მან., შესანახად შემოტანილი: 719 მ. 79 კაპ. სხ. სხ. შემოს. 53 მ. 70 კ. გადარიცხული საწილო ფული 2 მ., სულ შემოს: 3,908 მ. 20 კ. გასავალი: საწილო გარიცხული ამხანაგის: 2 მ. სესხათ გაცემული 3,599 მ. %-ები ვადამდე შემოტანილი სესხის 2 მ. 69 კ. მობარებული ფული გაიტანეს: 238 მ. 60 კ. ამის % 1 მ. 1 კ. გამგეობის ხარჯი: 43 მ. 85 კ.

სულ: 3,887 მ. 15 კ. ნაღდია სალაროში 21 მ. 15 კ.

შენიშვნა: მობარებულ ფულში აძლევენ სარგებელს: უვადოში 2% 6 თვემდე ვადით: 3% და 6 თვის ზევით: 8 %.

აპ წულაძე.

*** **ს. ხოვლე** (ქართლი). **ხალხის გონებრივი გაღვიძება და სახალხო სამკითხველო.** ძლივს ეღირსა ჩვენს უყურადღებოთ მივარდნილს სოფელსაც გულ შემატკივარნი.

ამ ცოტა ხნის განმავლობაში ჩვენს დრო გამოშვებით გამოცემებში ბევრი, უეჭველია, ამოიკითხავდა სხვა და სხვა სასიხარულო ამბებს საქართველოს სოფლეიბდგან. ერთი წერილი გვატყობინებს, რომ ხალხმა შეიგნო მნიშვნელობა სწავლისა, შეიგნო და გულის სიღრმეში ჩაინერგა, რომ „სწავლა სინათლეა და უსწავლელობა სიბნელე“.

ამის გამო თითქმის ყველგან შეუდგნენ საქმეს: ერთგან ხსნიან სკოლებს, მეორეგან სამკითხველოებს, მესამეგან წარმოდგენებს მართავენ და სხვ.

ხალხი ნელ-ნელა გამოდის სიზარმაციდგან და გონებრივ სიბნელიდგან; წინანდელი „კეკელჯანების და სხვა და სხვა ,,შალა-პუტური'' სიმღერების მაგივრად ვრცელდება ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწარმოებნი, ვრცელდება ქართული სიმღერები, აზრიანი ლექსები და სხვ. ერთის სიტყვით, უმრავლესი წერილები გვარწმუნებენ: ჩვენი ხალხი გამოვიდა სკიდგან, სადაც დიდხანს ეძინა, გაახილა თვალები და საკმარისია ერთი კარგი მუჯლუგუნი, რომ ხალხი წავიდეს წინ განათლების გზაზედ.

საერთო მსვლელობას ჩვენი სოფელიც არ ჩამორჩა სხვა ადგილებს. ამ ჟამად აქ იხსნება სახალხო სამკითხველო. ნივთიერ დახმარებას უჩენს ამ კეთილ საქმეს აქაური ,,ინტელიგენცია'', რომელსაც განზრახვა აქვს წარმოდგენა გამართოს ს. ახალქალაქში სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოდგენისთვის სტუდენტი ივანე ჯავახიშვილი ყმაწვილებს ავარჯიშებს ქართულსა და ევროპიულ სიმღერებში. ბ. ი. ჯავახიშვილი ზედ მიწევნითი მცოდნეა ნოტებით გალობისა და კარგათაც ასწავლის მომღერლებს.

მოვალეობათ მიგვაჩნია დიდი მადლობა გამოვუცხადოთ ქნ. მარიამ დავითის ასულს ჯავახიშვილისას, რომელიც მხურვალე მონაწილეობას იღებს სამკითხველოს საქმეში და არაფერში არ გვზარდება. თუმცა ბევრს არ იამება ხოლმე ასეთი მადლობის გამოცხადება ქნ. მ. ჯავახიშვილისამდი, მაგრამ ერთად ერთი ეს პირი მიგვაჩნია უპირატეს მადლობის და ქების ღირსად ამ საქმეში. აი ეხლაც მან დაიკისრა 25 მანათი წელიწადში სამკითხველოს სასარგებლოდ.

— **უყურადღებობა ადმინისტრაციისა.** უკანასკნელ ხანში ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ. გუბერნატორმა ნება მისცა ხოვლელებს წიგნთ-საცავის დაარსებისა. ამაზედ გაეგზავნა ოფიციალური ქაღალდი ბ. გორის მაზრის უფროსს, მაგრამ უკანასკნელისაგან აქამდის არავითარი განკარგულება არ მოგვსვლია. ჩვენ ამ ნება-რთვის მოლოდინში ვართ აქამდის და არ ვიცით, როდის ვეღირსებით სანატრელ ქაღალდს. საჭიროა ამაზედ მიაქციოს ყურადღება ბ. მაზრის უფროსმა და დროთი გამოგზავნოს ნება-რთვა.

საქმის მოთავენი ძალიან შიში არიან იმ ხმის გავრცელების გამო, რომ ბ. გუბერნატორისაგან ბძანებაა გამოსული, ვითომ ყველა უფასო ბიბლიოთეკები უნდა დაიკეტოსო. ჯავრით აღარ ვიცით რა ვქნათ. ვაი თუ ამდენმა შრომამ მუქთათ ჩაგვიაროს!(*

— **ამინდი.** ივლისის დასაწყისში აუტანელი სიცხეები იყო. შემდეგ კი 25-ი რიცხვიდგან სიგრილე დაიჭირა. დრო გამოშვებითი წვიმები და კაი მზიანი დღეები ხელს უმართავენ ერთი მხრით სიმინდების მოსავალს და მეორეთი— კალოობას, რომელიც გახურებულია და მალე გათავდება.

შაქრო ჯავახიშვილი

*** **ს. კუხი. უცნაური საქციელი.** გუშინწინდელ „კვალის“ ნომერში (№ 32) დაბეჭდილია ს. კუხიდგან კორესპონდენცია, რომელმაც დაგვარწმუნა, რომ საცაა ,,კვალის'' პატივცემული რედაქცია სიამოვნებით დაბეჭდავ შემდეგ ცნობასაც: ,,მეაბრეშუმეთა პირველმა ამხანაგობამ თავისი მოქმედება მთვარეზედ გარდაიტანა, ამიტომ ჩვენებურ მეაბრეშუმეებს პარკი აღარ გაუსაღდა და არც გაუსაღებს, სანამ ისინი მთვარეზე არ გადასახლდებიან და იქ არ მოიწევენ აბრეშუმის პარკებსო''. ჩვენ ეხლა უკვე გვჯერა, რომ ასეთი ოხუჯი კორესპონდენტი ბევრი ჰყავს ,,კვალს'' და ხვალ ისინი ,,კვალის'' პირით ქვეყანას აუწყებენ ამ დაუჯერებელ ამბავს; სადაც ის კი დაიჯერა რედაქციამ და არწმუნებს თავის მკითხველებს, რომ მე 1,000 მანეთი ჯამაგირი გამოვტყუვე მეაბრეშუმეებს და ,,ზურგი კი ვუჩვენე'', პარკს სრულიად აღარ ვღებულობ—განა გასაკვირველი იქნება, რომ იმავე რედაქციამ ბაჯაღლო ოქროდ მიიღოს ზევით მოყვანილი ,,ახალი ცნობა''?!, შარშან ამ რედაქციამ ამავე ამხანგობაზე დაბეჭდა მთლად სიცრუვით სავსე წერილი, რომელიც თითონვე იძულებული იყო უარეყო სრულადვე ბ. ნადიკვრელის შენიშვნით. წელს კიდევ ამავე ამხანაგობაზე ერთი ურემი ცილის წამება დაბეჭდა რამდენსამე ნომერში (პასუხს მიიღებს) და ახლაც ეს სანიმუშო წრეს გადასული სიცრუე მოაჭორა ვიღაც ლ. მ. პირით. აქ ჩვენ აღვნიშნეთ ეს სწორეთ უცნაური ყოფა-ქცევა ,,კვალის“ რედაქციისა და ამით ვათავებთ, რადგან მალე გვექნება საქმე თითონ მის კორესპონდენტებთან.

მმართველი მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა ნ. წერეთელი.

*** **დ. აბაშა** (სამეგრელო). **საზარალო ჩვეულების მოსპობა.** 3-ს აგვისტოს კვათანის საზოგადოების კანცელარიაში შეყარა მთელი საზოგადოება აბაშის ნაწილის ბოქაულმა თავ. ვ. ს. აბაშიძემ და ამხილა საზოგადოებას, თუ რისთვის იყვნენ მოწოდებულნი. მიმართა ბოქაულმა საზოგადოებას გრძნობიერი სიტყვებით და აუხსნა ყველას, თუ რა მავნებელი და მაზარალებელი ჩვეულება არის მიცვალებულის ჩვეულებრივი ტირილი. ნათლათ აუხსნა ის გარემოება, რომ მიცვალებულის ტირილზე უკანასკნელ სიღარიბეში ვარდება საწყალი ჭირისუფალი და მასთან მისი მოყვრებიც, რომელნიც საერთოდ ეწევიან არა გამოსადეგს ხარჯებს.

საზოგადოება ყურადღებით ისმენდა კეთილს მათი ჭკუის მასწავლებელის სიტყვებს. ბოლოს ბოქაულის წინადადებით საზოგადოებამ განაჩენი დაადგინა, რომელზედაც ხელი მოაწერა ყველამ. განაჩენში მოხსენებულია, რომ ყველა ვალდებულნი არიან ტირილ ქელეხის ჩვეულებაზე ხელი აიღონ და მოიქცნენ შემდეგის სახით: მიცვალებული უნდა გაასვენონ ეკლესიაში დილით —და შემდეგ, თუ მიცვალებულის პატრონს შეუძლია, აქვს შეძლება პატივი სცეს—მიიწვიოს სახლში საზოგადოება და გაუმასპინძლდეს უსასყიდლოთ. თუ ვინმე მოხსენებულ განაჩენს გადადგება, ვალდებულია გარდაიხადოს ჯარიმა, თანახმად განაჩენში მოხსენებულისა. ხალხი დიდათ კმაყოფილი დარჩა ამ გვარის გადაწყვეტილებით კეთილი საქმისა.

სასიამოვნოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ,,ცნობის ფურცელში'' არა ერთხელ გატარებულმა აზრმა უბრალო და მავნე ჩვეულების მოსპობის შესახებ, უკვე მომხრენი მოიპოვა ჩვენს საზოგადოებაში და თუ ყველა დაბა სოფლებში ისეთი განათლებული მოხელენი გამოჩდნენ, როგორც ჩვენი პატივცემული ბოქაული თავ. აბაშიძეა, სრული იმედია, რომ მალე დაწინაურდება ჩვენი დაქვეითებული სოფლის საზოგადოება და გლეხ-კაცობაც.

მოვაპრე.

*** **ს. ჭალადიდი** (სამეგრელო). **კიდევ ყაჩაღების შესახებ.** ორს დღეში ერთხელ ამოდის მაზრის უფროსი ბ-ნი ქავთარაძე, რომელიც ძალიან გულ-მოდგინედ ეკიდება საქმეს და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, როგორმე შეიპყრან უკვე ცნობილნი ყაჩაღები. როგორც ადრე იყო ნახსენები „ცნ. ფურ.“-ში ყარაულების შესახებ,—ყოველ ღამე არიან დაყენებული ყარაულები. ეხლა კიდევ ახალი განკარგულება არის გუბერნატორისაგან, რომ თითო საყარაულოში (რკინის გზისა) სამ-სამი ყარაული უნდა იდგეს თოფებით (თოფი თუ არა აქვს, უნდა იყიდოს), ფოთსა და ქვალონის შუა თოთხმეტი საყარაულო არის, ასე, რომ ყოველ ღამე ორმოცდა ათამდე კაცი უნდა იყოს გამოყვანილი საყარაულოდ. ჭალადიდში მცხოვრებნი გლეხ-კაცნი შეადგენენ სამასს კომლს, ამათში, ნახევარი თუ არა, მესამედი უეჭველად ავადმყოფნი არიან... ჯერ აქაურს კარგად მყოფს რომ ეძახიან, რომ შეხედოთ სწორედ გულს შეგზარავთ: გაყვითლებულნი, გამხდარნი, უსიცოცხლო თვალებ ჩავარდნილი და მუცელ-მიმწვარნი; ან რასაკვირველია, იმისთანა კაცის მომწამვლელი ჰავა ტრიალებს ამ დამპალ ჭალადიდში, გზად რომ მიდიოდე, ცხვირზედ ხელი უნდა მოიჭირო, იმისთანა სუნი ასდის დამპალსა და უმოძრაო ჭაობებს და მეორე ხელით კოღოებსა და მრავალ ნაირს მწერებს უნდა იგერებდე.

ახლა სიღარიბეს ხომ თვალი დაუდგა; ყველაზე უხვი სწორედ ეს გახლავთ. ამასობაში წადით და გამოიყვანეთ აქ მცხოვრები გლეხ-კაცი საყარაულოთ! განა შეუძლიანთ ყარაულობა?!. ახლა კიდევ, ჭორად გავიგეთ, ამბობენ, ვითომც ყარაულებს ჯამაგირები უნდა დაენიშნოთ საზოგადოებისაგანაო. ხოლო წარმოიდგინეთ, აქაურს საზოგადოებას ვინ შეადგენს? სახლში დარჩენილი ხალხი, არა? რომ იტყვიან: ,,ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო'', სწორედ ორივე ერთი და იგივე უბედურება არის. ნუ თუ შეუძლებელია მთავრობისათვის, რომ ასიორასი ყაზახი გამოგზავნონ ერთად, შემოარტყან ამ უშველებელს ტყეს ირგვლივ.—სადღა წაუვათ ყაჩაღები, წასასვლელი გზა რომ აღარ ექნებათ! თუ არა ამ დახოცილმა ხალხმა რა უნდა გააწყოს მშიერის მუცლით! გუშინ-წინ ერთს ყარაულს სამის თუ ოთხის წლის ბავშვი წამოეყვანა. მე ვკითხე: კაცო ბავშვი რაღათ მოგყავდა მეთქი, „რა ვქნა, ბატონო, ქალი აღარ მყავს, მომიკვდა, ბავშვი არავის ეკარება, მეზობლებთან არა დგებაო. თითონ ყარაული პატარა ფოთიდამ იყო, რომელიც თორმეტი ვერსის მანძილზე არის ჭალადიდზე. რა ჰქნან ამ უბედური დღის გაჩენილებმა.

— ყაჩაღ ჯიქიას მიზეზით ზუგდიდში სამი ქალი არის დაპატიმრებული, სამსაც ამ ორ-სამს დღეში შეიპყრობენ. გვასალიას მოკვლის დროს ჯიქიამ რომ დასჭრა გვასალიასთან მიმავალი ქალი, განთავისუფლდება თუ არა ჭრილობისაგან, მაშინვე იმასაც დაიჭერენო, რადგანაც ჯიქია საქვეყნოდ უყვიროდა: შენი ცოდო იყოს, შენ ხარ მიზეზი, რომ გვასალია მოვკალიო! ამ დედა-კაცებს აბრალებენ, თურმე, რომ ჯიქიას ხელს უწყობენ და კარგად იციან—რა დროს სად მიდის ხოლმე ღამ-ღამობითო.

Natalie.

*** **პეტროვსკი. ქართველ-მუშათა-უმწეობა.** გუშინწინ, დილით ვაგზალზედ გახლდით და მატარებლის მოსვლამდის იმდენი დრო კიდევ იყო დარჩენილი, რომ მოვინდომე ნავთ-სადგურის დათვალიერება. ერთ ალაგას მოგროვილიყვნენ მუშა ყაზახები და ხმა მაღლა ქართულად რაღაც საქმეზედ ლაპარაკობდნენ. ქართულ ლაპარაკმა ცნობის მოყვარეობა აღმიძრა—გამეგო ვინაობა და რა საქმეზედ, სიდან ჩამოსულიყვნენ.

—,,ჩვენაო, შენიჭირიმე,“ სოფლებიდგან'' ვართო (თერგის ოლქშია). ამას წინათ ჩვენი ბიჭები ყოფილიყვნენ აქ, თურმე, ქართველ იჯარადებთან ემუშავნათ, და კარგათ ფულიც ეშოვნათ, ჩვენც, ამ შემთხვევით წახალისებულებმა, უკანასკნელი გროშებით ბილეთები ავიღეთ და ჩამოვედით სამუშაოთ, მაგრამ მოვსტყუვდით, ბატონო. აი სამი დღეა დავდივართ, ყველა სამუშაოები დავათვალიერეთ და ქართველი იჯარადარი ვერსად ვერ ვნახეთო. ამ სიტყვებთან რამდენსამე მათგანს თვალს ცრემლიც მოადგათ.

მე დავამშვიდე, ბარათი მივუწერე იჯარადარ გიორგი სიმონის-ძე კოლოშვილთან, ბინაც ვასწავლე, მაგრამ, მათდა საუბედუროთ, ბ. კოლოშვილი თბილ წყლებზედ წასულიყო. გიორგი კოლოშვილისა ყველა მადლიერია და არა დროს უარი არ შემოუთვლია მუშების მიღება-

*) ხსენებული ხმები სრულიად სიმართლეს მოკლებულია. საქმე ის არის, რომ ახალის განკარგულებით სახალხო სამკითხველოთა გახსნა გუბერნატორის ნება დართვის შემდეგ უნდა მოხსენდეს აგრეთვე ბ-ნ ოლქის მზრუნველს და მას შემდეგ შეიძლება სამკითხველოს გახსნა.

რედაქ.

ზედ, როცა-კი მიმიმართავს მისათვის, მეტარე ჩვენი ქართველი მუშა მუდამ პოულობს მასთან ბინას და გასამრჯელოსაც სხვებზედ მეტს აძლევს.

მეტი ღონე არ იყო, მთელი გუნდი ქართველი მუშებისა (30 კაცამდე) დაიყო ნაწილ ნაწილათ და მოედო დარუბანდის გზაზედ (რკინის გზა კეთდება) სამუშაოთ. შავი ჭირის ეხლა აღარავის ეშინია. ეს უნდა იყვეს მიზეზი, რომ მუშა მოაწყდა. ამ ორი თვისწინათ რომ მუშა დღეში 70 კ. იღებდა, ეხლა 40 კ. ძლივს ვაი-ვაგლახით იძლევიან.

— **აქაურ ქართველ მოვაჭრეთა გადაგვარება**. რომ უფრო მეტი იყიდებოდეს ქართული წიგნები, ბიჭის ხელით სახლებშიაც დავიწყე მათი გაგზავნა და ვერ წარმოიდგენთ, ბატონო რედაქტორო, ჩემს გაკვირვებას; ზოგიერთ ქართველ მოვაჭრეთა ოჯახში სულ არა სცოდნიათ ქართული კითხვა არც მშობლებს არც მათ შობილებს! „კიდევ კარგი, რომ ქართულად ვლაპარაკობთ, შვილოვო, ბიჭისთვის ეთქვათ, უცხო ხალხში ვცხოვრობთო და ქართული წერა-კითხვა დავიწყებული გვაქვსო. ერთი ჰკითხოს კაცმა ამ გაბირებულთა: ქართული თუ დაივიწყეს, რატომ სხვა ენა მაინც კარგად არ შეითვისეს და არ გაისპეტაკეს. წიგნები ვრცელდება უფრო მოსულ ხალხში. ვაი ჩვენს დაქვეითებას!.

გიგო თოიძე.

პოლიციის მატიანე

—

ჩხუბი და დაჭრა. 6 აგვისტოს, დილით, 5 ნაწილში მცხოვრებელმა გიორგი ქელივიძემ თავის ცოლ მარიამთან ჩხუბის დროს იხმარა საკეცი დანა, რომლითაც დაჭრა იგი ხელში და მკერდში. დაჭრილი ქალი ბოქაულმა მიხაილოვის საავადმყოფოში გაგზავნა. ქელივიძე დაიმალა.

—

თავხედური ქურდობა. იმას, თუ სანამდისინ მიაღწია ქალაქში ქურდ-ბაცაცების თავ-გასულობამ, ნათლად გვიმტკიცებს შემდეგი შემთხვევა: სამშაბათს, 5 აგვისტოს, „სუდებნი“ ქუჩაზე, ბ. ლავროვის სადგომში დღისით, მოსულა ვიღაც უცნობი და გაუქურდავს სახლი; ამ სახლში, სხვათა შორის, დაწყობილი ყოფილა ამიერ-კავკასიაში სააქციზო ზედამხედველის ბ. ჰერშკეს ბარგი, რომელიც საზღვარგარეთ წასულა. ოთახის გასაღებები ერთს დარაჯს ებარა, თითონ ლავროვი-კი სამსახურში ყოფილა ხსენებულს დღეს, მისულა ამ დროს ის კაცბატონი და დარაჯისათვის უთქვამს ბ. ჰერშკეს ზოგიერთა ბარგის წაღება მაქვს მონდობილი და გასაღები გზაზე დავკარგეო; არც ის დარაჯი აღმოჩნდა შინ, რომელსაც გასაღები ებარა. მოხერხებულმა ქურდმა მიჰმართა ზეინკალს (слесарь), კლიტე გაატეხინა, შევიდა ოთახებში, გადაარჩია რაც რამ ხეირიანი და ძვირფასი იყო, მერე შეჰკრა ორი დიდი ფუთა, აჰკიდა მუშებს ზურგზე და გაამგზავრა. მოვიდა ლავროვიც სამსახურიდამ; უამბეს, რომ ბ. ჰერშკეს მონდობილებით ზოგიერთი ბარგი წაიღეს; ლავროვის [illegible] იქვე აიღო, რომ აქ რაღაც

ავაზაკობა უნდა იყვესო, დაათვალიერა ოთახი და შეამჩნია, რომ რაც რამ კარგი და ძვირფასი იყო წაეღოთ; შესწუხდნენ, იქით ეცნენ—აქეთ ეცნენ, მაგრამ „აშკარა“ ქურდის ასავალ-დასავლისა ვერა გაიგეს-რა. მეორე დღეს, საღამოს, ლავროვმა შეამჩნია, რომ ერთი კაცი რაღაც საეჭვო სახით სულ მისის სადგომის წინ დაეხეტებოდა; დაუძახა მსახურს და აჩვენა ეს კაცი; მსახურმა მაშინვე იცნო: „ეგ ის კაცია, რომელმაც გუშინ აქედამ ბარგი წაიღოო“. აცნობეს იქვე მდგომ პოლიციელს და შეიპყრეს კაცბატონი; აღმოჩნდა, რომ ის ყოფილა 1 გილდიის ვაჭრის ასტვაცატუროვის შვილი — გიორგი ასტვაცატუროვი. მან აღიარა თავისი დანაშაული და სთქვა: „რაც მოვიპარე, გავყიდე კიდეცო“, და დაასახელა კიდეც ვისთვის რა მიუყიდნია და რა ფასად. პოლიციამ თითქმის ყველა ნივთები იპოვნა თვით ასტვაცატუროვის ჩვენებით; ერთი რევოლვერი და ყუთი (ხუთ თუმნად ღირებული) მას მიუყიდნია ვაჭრის ბოზარჯიანცის შვილისათვის 4 მ. 50 კაპიკად, ძვირფასი პირის-საბანი (რომელსაც რამოდენსამე ას მანეთად აფასებენ) — მიუყიდნია ვიღაც მსიანცისათვის 3 მანეთად, ჩაის სამკაული — ვიღაც მედუქნისათვის — 40 კაპიკად, რამოდენიმე ნაჭერი დარაიასი — რკინის გზის კონდუქტორისათვის — 60 კ. და სხვა და სხვა.

სულ, რაც გატანილი იყო და დაბრუნეს, აფასებენ ასს თუმნად.

აი თავხედური ქურდობაც ამას ჰქვიან.

თეატრის მატიანე

—

ს. საგარეჯო. ქართული წარმოდგენა. 20 მკათათვეს იყო აქ წარმოდგენა სართიჭალის ფოსტის სასარგებლოდ. წარმოადგინეს ცაგარლის 4 მოქმ. კომედია „ციმბირელი“ და კომედია „ჰარიკმახერისას“. რ. ერისთავისა.— როლები ყველა მოთამაშე პირთ რიგიანათ შეესწავლათ და მთელი პიესა ჩაატარეს ეფექტით. განსაკუთრებით შეასრულეს თავიანთ როლები კარგათ ნ. საყვარელიძისამ (მაშიკო) და ნასყიდაშვილმა (ციმბირელი), ი. იმედაშვილმა (მაზუთიანი) ზ. ბილანიშვილმა (პეტუა). სანამეტნაოთ მშვენიერათ ჩაატარეს ის ადგილები, სადაც ციმბირელი შეჰხვდება თავის ცოლ-შვილს (მოქ. 2) და „ტიგრანას (მოქ. 3), ისე გრძნობით აასრულეს ეს სცენები, რომ ბევრმა იტირა. კოდევილში ჩინებულად ჩაატარეს ბაჭის (გულისაშვილმა) გოგოს (საყვარელიძისამ) როლები და აგრეთვე თავადი ბადურისა (ნასყიდაშვილმა) და ხალხი ბევრი აცინეს. საერთოდ ვოდევილმა მხიარულად ჩაიარა.—დასასრულ ბბ. დ. ნასყიდაშვილმა და ი. იმედაშვილმა იმღერეს იუმორით სავსე შედგენილი კუპლეტები მიმართული ს. საგარეჯოს ზოგიერთ გარემოებაზედ.—

ამ წარმოდგენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზედ, გარეშე მოსულებზედაც-კი, რომელნიც ბლომად მოვიდნენ მახლობელ სოფლებიდგან.

დიდი მადლობის ღირსნი არიან გ. ქურდოვანიძე და ს. აღნიაშვილი, რომელთაც არ დაზოგნეს არავითარი შრომა ამ საქმის კარგათ მოწყობისათვის.

სამეურნეო ცნობანი

—

ნავთი როგორც საშუალება ხუნავის წინააღმდეგ. მილანის ერთ გაზეთში, ექიმი ლ. სეკომანდი სწერს: „დიდი ხანია, რაც მე ვწამლობ ხუნავს (დიფტერიტი) ნავთით, და ეს საშუალება იქამდის კარგათ მოქმედობს ავადმყოფებზედ, რომ მე შემიძლიან დანამდვილებით დავამტკიცო ნავთის უებარი ძალა ხუნავის წინააღმდეგ, თუ, რა საკვირველია, ავადმყოფი მტკიცედ დაიცავს ჩემს დარიგებებს. ჩემის აზრით, ჩემი დარიგებების ასრულება შეუძლიან მხოლოთ ბავშვებს არა ნაკლებ ექვსი წლისანებს, რომელთაც აქვთ ცოტაოდენი შეგნება და დაკვირვება. მცირე წლოვანებისთვის-კი შრატსა ვხმარობ ხოლმე და ეს საშუალებაც კარგად მადგება. ნავთს სხვა-და-სხვა სახით ვხმარობ: ნავთით ავადმყოფს ვზილავ, ყელს ვარეცხინებ, ან გამოვაქლებინებ და სხვა. ხუნავის მოწოლა ყელში ნავთით ქრება და თუ ვინიცობაა კიდევ გაჩნდა, იქამდე უნდა იხმარონ ნავთით წამლობა, სანამ სრულებით არ გაქრება“.

წვრილი ამბავი

—

ახირებული ,,თავადი“. ქ. ოდესაში რამოდენიმე წელიწადია ცხოვრობს კარშავიდამ ჩამოსული **ერთი** ახირებული კაცბატონი, გვარად დმოხოვსკი. ტანთ აცვია სუფთად და მდიდრულად; სახე გაპარსული აქვს, თითონ ახოვანი და ლამაზია, მჭერმეტყველი და ხმანარ-ნარი, ასე გეგონებათ სულში ჩამიძვრაო, როდესაც ლაპარაკობს; ეგ კაცბატონი „ვიკონტად“ ისახელებს თავს და თავადისებური ცხოვრებაც უყვარს. საუკეთესო სასტუმროებში უჭირავს ოთახები, მერმე, ერთში-კი არა—რამოდენსამეში ერთად, საუკეთესო რესტორანებში მიირთმევს სადილ-ვახშამს, ერთის სიტყვით, რომ იტყვიან, „თაფლში სცურავსო“, სწორედ ესეთ ქიფს ეწევა, მაგრამ, საუბედუროდ, თურმე, ერთი ახირებული ჩვეულება ჰქონია: არსად და არასდროს ფულს არ იხდის; შებრძანდება შუადღისას სასადილოდ საუკეთესო სასტუმროში, მოითხოვს ექვს თავს საჭმელს და, რასაკვირველია, ამის შესაფერს ძვირფასს სხვა-და-სხვა სასმელებს, სადილთ უკან ათიშაურიან სიგარას მოსწევს და რომ საკმაოდ დაკმაყოფილდება—წამოწვება საკარძელში და ვითომ ჩაიძინებს. ბოლოს სასტუმროს მსახური გააღვიძებს და სადილის ანგარიშს მიართმევს; დმოხოვსკი ვითომ გაიღვიძებს, თვალებს ამოიწმენდს და შესძახებს მსახურს: „რა უკაცო ხურდა“ განცვიფრებული მსახური ეკითხება: რის ხურდა, ბატონო, რომ არა მოგიციათ-რა, ხურდა საიდამ მოგართვათო!“.—აი შე წუწკო, შენა! მოიტა ჩქარა ჩემი ხუთი მანეთის ხურდა!..

შეიქმნება ერთი ალიაქ-ჩალიაქოთი; დმოხოვსკი თავისას არ იშლის და მსახურიც კიდევ თავისას.—ბოლოს, მეტი რაღა ღონეა, ამოსდებენ ამ კაცბატონს მხრებში ხელს, გასავალ კარებამდე მიაცილებენ და იქ მსახურნი ერთს-ორს ლაზათიანად უთაქებენ კისერში და გასტუმრებენ; ჩვენი რაინდი ერთს-კი მოათვალიერებს, [illegible] გაუდგება გზას.

საღამოს სხვა სასტუმროში მიბრძანდება, ხოლმე....

ამ კაცბატონს ჰგონებია სიკვდილამდე ასე ვიცხოვრებო. მაგრამ სხვას ვის ძოუწამია ამნაირად წუთი-სოფელი, რომ იმას მოუწამა? პოლიციას შეუპყრია და ეხლა, თურმე, სხვა „სასტუმროში“ ბრძანდება.

განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

იყიდება

შემდეგი ახლად დაბეჭდილი წიგნები:

ქრონიკები, თ. ჟორდანიასი, II ტომი . . . . . 3 მ.

ქართული ზმნების კლასიფიკაცია, არ. ქუთათელაძისა 50 კ.

ლექსები ან ფურცელაძისა . 40 კ.

აღმოსავლეთის ისტორია, ი. გომართელისა . . . . 15 კ.

ნათელა, პოემა აკაკისა . . 20 კ.

ბუნება და ცხოვრება, ი. ალხაზიშვილისა . . . . 60 კ.

გლეხი-კაცის ისტორია, ერკმან-შატრიანისა . . . 60 კ.

(10—1)

ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საცნობელად, რომ ხუთშაბათს, 21 აგვისტოს ამა 1897 წლისას, დღის 12 საათზე, მის თანადასწრებით, ქ. ფოთში იქმნება უსათუო პირადი ვაჭრობა ასაშენებლად ქ. ფოთში **ხის ხიდისა რკინის ბოძებზედ** მდინარე რიონის სამხრეთის ტოტზე, 22,200 მ. ღირებულისა. რკინის ბოძები და კოჭები (ბალკები) ქალაქისაგან უფასოდ მიეცემა იჯარადარს. დასაუზრუნველებლად ვალდებულებათა, რომელთაც მიიღებს თავისს თავზე იჯარადარი, მოეთხოვება ბეთ ათი პროცენტი საიჯარო ფულიდამ ნაღდად ანუ რუსეთის სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდებით ანუ მართებლობისაგან ნათავდებები აქციებით და ობლიგაციებით, აგრეთვე სხვა ბილეთებით, რომელთა ბეთ მიღება მართებლობისაგან ნება-დართულია სახელმწიფო იჯარების დროს. პირობები (კონდიციები), პროექტი, გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა, რომელნიც-კი საჭირონი არიან წარსადგენად ვაჭრობის დროს, შეუძლიანთ გასინჯონ ფოთის ქალაქის გამგეობაში კვირა-უქმეებს გარდა ყოველ-დღე 9 საათ. ნაშუადღევის 2 საათ.

(3—2) ფოთის ქალაქის გამგეობა.

ვ. გუნიას გამოცემანი

დრამები და **კომედიები I** წიგნი (იბეჭდება) ფასი 50 კ.

დრამები და **კომედიები II** წიგნი — — 50 კ.

მიწერ-მოწერის კრებული სრული და ვრცელი — 40 კ.

მიწერ-მოწერის კრებული სახალხო გამოცემა — 15 კ.

ქართული თეატრი სცენა და მწერლობა — — 40 კ.

საქართველოს კალენდრები (დასურათებულნი)

(**წარსულის წლებისა**)

1893, 1894, 1895. 1896 წლებისა თვითო წიგნი 20 კ.

ვინც პირდაპირ გამომცემლისაგან გამოიწერს, ფოსტის ხარჯს არ იხდის.

ბუღალტერიის შესწავლა

კისაც საფუძვლიანათ ჰსურს შეისწავლოს

სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროსს ბუღალტერს **ი. ია. ბრონ ფონ-ბრენერს.**

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანათ შესწავლისა 60 მან.

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ.

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.

2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи,)

3) **Арифметики на счетахъ,**

4) **Коммерческой экономіи,**

5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній,—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита и препод. **школы садоводства.**

ПЛАТА ЗА ВЕСЬ КУРСЪ 60 РУБ.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е числа каждаго мѣсяца. **АТТЕСТАТЫ за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ Фонъ-Бренеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—60)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Августа 1897 г. სტამბა ექ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია